საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 2 20 0000573749

07/07/2020

„კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში კონკურსის „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია თბილისსა და რეგიონებში“ საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 25 თებერვლის N271 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია თბილისსა და რეგიონებში“ გამარჯვებული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის სფეროში დამტკიცებული პროგრამის პრიორიტეტებით განსაზღვრული კონკურსის/ების საკონკურსო კომისიის/ების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N212 ბრძანების საფუძველზე და ,,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 25 თებერვლის N271 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია თბილისსა და რეგიონებში“ ფარგლებში სამინისტროში რეგისტრირებული საპროექტო/საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 მარტის N308413 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2020 წლის 03 ივლისის N2 სხდომის ოქმის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 03 ივლისის N558422 მოხსენებითი ბარათისა და

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 06 ივლისის N563526 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში კონკურსის „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია თბილისსა და რეგიონებში“ საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 25 თებერვლის N271 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია თბილისსა და რეგიონებში“ გამარჯვებული პროექტების ნუსხა, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2020 წლის 7 ივლისისა;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი